

# დანართი #1

## აქტი უსადენო მოდემზე მომსახურების შესახებ

ქ. \_\_\_\_\_ 201 წ.

სს "სილქნეტი" (ს/წ \_\_\_\_\_ მისამართი ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. #95(შემდგომში: "სილქნეტი") წარმოდგენილი სახით და

ფიზ/იურიდიული პირი \_\_\_\_\_ პირადი ნომერი/ საიდენტიფიკაციო ნომერი \_\_\_\_\_, მისამართი: \_\_\_\_\_ (შემდგომში: "აბონენტი") აღნიშნული აქტის (შემდგომში: "აქტი") შედგენით და

მასზედ ხელმოწერით, ვადასტურებ შემდეგს:

1. "სილქნეტმა" გაუწია, ხოლო "აბონენტმა" მიიღო შემდეგი მომსახურება (შემდგომში: "მომსახურება"):

"აბონენტთან" დროებით სარგებლობაში არსებული wireless access point მოწყობილობის (სერიული ნომერი: \_\_\_\_\_), საგარანტიო მომსახურება (მოწყობილობის ტექნიკური დახმარება) ამავე მოწყობილობის ინსტალაციიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

"აბონენტის" დროებით სარგებლობაში არსებული wireless access point მოწყობილობის (სერიული ნომერი: \_\_\_\_\_), მომსახურება (მოწყობილობის ტექნიკური დახმარება) ამავე მოწყობილობის ინსტალაციიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის შემდგომ პერიოდში.

"აბონენტის" საკუთრებაში არსებული მოწყობილობის (უსადენო ტექნოლოგიის ინტერნეტის მიმღები მოწყობილობა) ინსტალაცია/კონფიგურაცია;

"აბონენტის" საკუთრებაში არსებული მოწყობილობის (უსადენო ტექნოლოგიის ინტერნეტის მიმღები მოწყობილობა) ხარვეზების აღმოფხვრა ("აბონენტთან" ვიზიტისას ამავე მოწყობილობის ტექნიკური დახმარება);

"აბონენტის" საკუთრებაში არსებული LTE WiFi მოწყობილობის (მოდემი) ხარვეზების აღმოფხვრა ("აბონენტთან" ვიზიტისას ამავე მოწყობილობის ტექნიკური დახმარება);

(მოინიშნება შესაბამისი მათგანი)

2. Wireless access point მოწყობილობის ინსტალაციიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის შემდგომ პერიოდში "მომსახურების" (მოწყობილობის კონფიგურაცია ან/და გადატვირთვა ან/და თრამბელშუთინგი) ღირებულება შეადგენს 10 (ათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით. აღნიშნულ ღირებულებაში გათვალისწინებულია 10 (ათი) მეტრი სახარჯი მასალის (შემდგომში: "კაბელი") ღირებულება. 10 (ათი) მეტრზე მეტი "კაბელის" გამოყენებისას, "მომსახურების" ღირებულება (შემდგომში: "ღირებულება") გაიზრდება 10 (ათი) მეტრი "კაბელის" ზემოთ გამოყენებული ყოველი 1 (ერთი) მეტრი "კაბელის" შესაბამისი ღირებულებით.

3. "აბონენტის" საკუთრებაში არსებული მოწყობილობის (უსადენო ინტერნეტის მიმღები მოწყობილობა) ინსტალაციის/კონფიგურაციის ან/და ამავე მოწყობილობის ტექნიკური დახმარების ღირებულება შეადგენს 10 (ათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით. აღნიშნულ ღირებულებაში გათვალისწინებულია 10 (ათი) მეტრი სახარჯი მასალის (შემდგომში: "კაბელი") ღირებულება. 10 (ათი) მეტრზე მეტი "კაბელის" გამოყენებისას, "მომსახურების" ღირებულება გაიზრდება 10 (ათი) მეტრი "კაბელის" ზემოთ გამოყენებული ყოველი 1 (ერთი) მეტრი "კაბელის" შესაბამისი ღირებულებით.

4. აბონენტის" საკუთრებაში არსებული LTE WiFi მოწყობილობის (მოდემი) ინსტალაციის/კონფიგურაციის ან/და ამავე მოწყობილობის ტექნიკური დახმარების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს დღგ-ს ჩათვლით. აღნიშნულ ღირებულებაში არ შედის სახარჯი მასალის (შემდგომში: "კაბელი") ღირებულება. "კაბელის" გამოყენებისას, "მომსახურების" ღირებულება გაიზრდება ყოველი 1 (ერთი) მეტრი "კაბელის" შესაბამისი ღირებულებით.

5. "აბონენტს" მიერ, "ღირებულების" გადახდა, მოხდება "სილქნეტის" ინტერნეტ – მომსახურების ყოველთვიურ სააბონენტო გადასახადთან ერთად;

6. "აბონენტს" "მომსახურებასთან" დაკავშირებით, "სილქნეტის" მიმართ, რაიმე სახის მოთხოვნა ან პრეტენზია არ გააჩნია.

7. "აქტი" შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან ერთი რჩება "სილქნეტს", ხოლო მეორე – "აბონენტს".

თუ "აქტს" „აბონენტის“ მაგივრად ხელს აწერს აღნიშნულ მისამართზე ("აბონენტის" მისამართი) მყოფი სხვა პირი, ნიშნავს, რომ ამ პირს გააჩნია სრული უფლებამოსილება „აბონენტისგან“ ამ აქტის ხელმოწერაზე. აღნიშნულ შემთხვევაში მიეთითება პირის

სახელი და გვარი \_\_\_\_\_

პირადი № \_\_\_\_\_

"სილქნეტი":

"აბონენტი":

გენერალური დირექტორის ხელმოწერა